სტრესზე რეაქციის „იბრძოლე ან გაიქეცი“ პიროვნული თავისებურება: ტენდენციურობა, კავშირი შფოთვასთან და მშობლის ამ რეაქციის შესახებ მეხსიერებაში დარჩენილ კვალთან.

ელენე რეხვიაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა : ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მალხაზ მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სარჩევი

აბსტრაქტი iv
საკვანძო სიტყვები: v
Abstract vi
თემის აქტუალურობა 1
ლიტერატურის მიმოხილვა 3
1.1 *რეაქცია იბრძოლე ან გაიქეცის სტრუქტრული და ფუნქციური მექანიზმი* 3
1.2 *ქრონიკული სტრესი* 11
1.3 *ადრენომედულარული რეაქცია* 12
1.4. *რეაქციის იბრძოლე ან გაიქეცი სოციალური ტრანსმისია* 16
1.5 *შიშისა და შფოთვის ბიოლოგია* 23
კვლევის მეთოდები 26
მონაცემთა ანალიზი 27
დისკუსია 31
დასკვნა 34
დანართი#1 35
დანართი #2 37
დანართი #3 38
გამოყენებული ლიტერატურა: 39

აბსტრაქტი

ადამიანის ფიზიოლოგიური რეაქცია სტრესორზე გამოიხატება რეაქციაში „იბრძოლე ან გაიქეცი“ (რიგ). რეაქცია ვლინდება ერთი მხრივ ორგანოთა სისტემების მოქმედების ფიზიოლოგიურ ცვლილებაში და მეორე მხრივ - ქცევაში, რომელიც გამოიხატება სტრესორის აქტიურ („იბრძოლე“) ან პასიურ („გაიქეცი“) თავიდან აცილებაში. ჩვენს ინტერესს წარმოადგენს რიგ-ის ქცევითი კომპონენტი და მისი პიროვნული თავისებურებები. რიგ-ის პიროვნული თავისებურების ერთერთი მახასიათებელი ის არის, რომ პიროვნება ამჟღავნებს ტენდენციას უპირატესად „იბრძოლე“, ან უპირატესად „გაიქეცი“ რეაქციის მიმართ. ამდენად საინტერესოა ვიცოდეთ, რა არის ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც უკავშირდება აღნიშნულ ტენდენციას. ხომ არ შეიძლება, რომ ეს პიროვნული მახასიათებლები გამოვიყენოთ როგორც პროგნოსტური ფაქტორი იმისა, რომ ამ მახასიათებლების მქონე პიროვნებისაგან მოსალოდნელია სტრესულ სიტუაციაში „იბრძოლე“, ან პრიქით, „გაიქეცი“ რეაქციის გამომჟღავნება. ამ მოსაზრებით ჩამოვაყალიბეთ პირველი ჰიპოპთეზა. ჩვენი პირველი ჰიპოთეზის თანახმად მაღალი პიროვნული შფოთვის მქონე ადამიანები უფრო მეტად ავლენენ ტენდენციას „იბრძოლე“ რეაქციისადმი პიროვნული შფოთვის დაბალი დონის ადამიანებთან შედარებით. ჩვენი მეორე ჰიპოთეზით, ეს ტენდენცია შესაძლებელია გარკვეულწილად განპირობებული იყოს მშობლის მსგავსი ტენდენციით, რომელსაც პიროვნება ადრეულ ასაკში აკვირდებოდა. ქცევის მოდელირების, სოციალური დასწავლის თეორია და აგრეთვე მრავალი ექსპერიმენტი მოწმობს, რომ ქცევა შესაძლებელია იმიტაციურ, მიმბაძველობით ხასიათს ატარებდეს, რაც ჩვენი ჰიპოთეზით „იბრძოლე ან გაიქეცის“ შემთხვევაშიც მართებულია

ამ ჰიპოთეზების შესამოწმებლად კვლევაში ჩავრთეთ 50 ადამიანი (18–30წ), ამათგან 31 იყო ქალი, ხოლო 19 მამაკაცი. ტენდენცია „იბრძოლე“ ან „გაიქეცის“ მიმართ შეფასდა კუპერის „გაძლიერებული სენსიტიურობის თეორია და პიროვნების კითხვარი“-ს საშუალებით. კითხვარში მოცემულია 18 დებულება, რომელიც მიმართულია აღნიშნული ტენდენციის გამოვლენისკენ. კითხვარების შევსების შემდეგ კვლევაში მონაწილეებს უტარდებოდათ 15 წუთიანი ინტერვიუ, სადაც ვთხოვდით სპეციალურ ცხრილში მოენიშნათ ის შემთხვევა, რომელიც გაახსენდებოდათ (შეუზღუდავი რაოდენობით) მშობლის, დედის, სტრესორზე რეაქციასთან „იბრძოლე ან გაიქეცი“ დაკავშირებით და ასევე სურვილის შემთხვევაში ჩაეწერათ კომენტარის სახით. მათ წინასწარ განემარტათ თუ რას ნიშნავს ბრძოლისა და გაქცევის რეაქცია. ცდის პირების შფოთვის დონე განისაზღვრა სპილბერგის პიროვნული შფოთვის კითხვარით.

კვლევის შედეგებმა არ დაადასტურა მეორე ჰიპოთეზა: პიროვნების მეხსიერებაში ჩარჩენილი მშობლების რეაქციის „იბრძოლე ან გაიქეცი“ თავისებურება არ არის კავშირში ამ პიროვნების რეაქციის თავისებურებასთან. დადასტურდა პირველი ჰიპოთეზა: პიროვნული შფოთვის სხვადასხვა ხარისხის მქონე ადამიანები განსხვავდებიან იბრძოლე ან გაიქეცის ინდივიდუალური ხასიათით. მაღალი შფოთვის ხარისხის მქონე ადამიანები ამჟღავნებენ ტენდენციას „იბრძოლე“ რეაქციისადმი. კვლევის შეზღუდვად შესაძლოა განიხილებოდეს ცდის პირების შედარებით მცირე რაოდენობა.

საკვანძო სიტყვები: *იბრძოლე ან გაიქეცი, პიროვნული ტენდენცია, მშობლის იმიტაცია, პიროვნული შფოთვა*

Abstract

Reaction fight or flight (FF) in response to the stressor consists of physiological changes in the functioning of inner organ systems and in the behavior as well. Behavioral component refers to the active removal of the stressor (Fight) or passive avoidance (Flight). We focused on the behavioral component of the FF and its personal features, in particular, on the tendency of person to react more by Fight vs Flight in response to the stressogenic stimulus. The question to be answered was if there are some personal traits which are related to the tendency to Fight vs Flight and if these traits may serve as a prognostic factor of which FF reaction should be expected from particular person in stressogenic situation. Based on this assumption we hypothesized and experimentally proved that persons with the higher personal anxiety display tendency to Fight. According to the social learning theory and some experimental data, we hypothesized that tendency to the either Flight or Fight may be determined by the imitation of the same reaction of parents, which person have had observing in the childhood. This hypothesis was not proved.

Experiment covered 50 (31 female and 19 male) subjects aged 18-30. The tendency to the Fight or Flight was determined by the use of 18 statements of the Cooper "Reinforcement sensitivity theory and personal questionnaire". After completion of the questionnaire subjects were interviewed for 15 minutes to remember the FF reaction of mothers they have had observed in the childhood. Subjects were informed beforehand about what does FF mean. Spielberg questionnaire was used to assess the level of personal anxiety of study participants.

The data obtained denied the second hypothesis on the imitation of mother's FF by the subjects under examination. Hypothesis about the correlation between the elevated personal anxiety and the tendency to express Fight in response to the stressor was proved.

Relatively small number of subjects represents the limitation of the study.

Key words: Fight or Flight, personal tendency, imitation of the parent, personal anxiety